

ზურაბ კიკნაძე

რეტროსპექტული ფიქრები ქართულ კულტურაზე

ვახტანგ კოტეტიშვილის ნაწერების სოლიდური ტომი (576 გვ.), რომელიც „არტანუჯმა“ გამოცხა ამ ორი წლის წინათ, შესაძლოა, სრულად არ მოიცავდეს ვახტანგ კოტეტიშვილის წერილობით ნაღვანს, გაბნეულს გასული საუკუნის 10-30-იანი წლების პერიოდიკაში ან ლიტერატურულ არქივებში დაცულთ, მაგრამ იგი ცხად წარმოდგენას გვიქმნის მათი ავტორის ინტერესთა დიაპაზონზე და მრავალფეროვნებაზე. ამ ნაწერებში ვახტანგ კოტეტიშვილი წარმოგვიდგება როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი, ეროვნული იდეოლოგი... ჩვენს მწერლობაში ძნელად თუ მოიძებნება მეორე ავტორი, რომლის შემოქმედებაში ასე ჭვივოდეს ფართო ფრუდიცია და მრავალმხრივი განსწავლულობა. როცა ამგვარი რეტროსპექტული მასალა, ათეული წლების წინათ შექმნილი პროდუქცია ქვეყნდება, დაისმის სრულიად კანონზომიერი კითხვა, თუ მისგან რამდენმა პროცენტმა გაუძლო დროს. მოსალოდნელია, რომ ბევრ მათგანს დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეს შერჩენილი, მაგრამ „ნაწერების“ ღრმად გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ მცირე გამოწკლისის გარდა, დღესაც ისინი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ იმავე ღირებულებას და აქტუალობას, რაც მაშინ ჰქონდათ. მაგრამ აქ ერთი გარემოება უნდა შეინიშნოს. მთავარი ის კი არ არის, გავიზიარებთ თუ არ გავიზიარებთ „ნაწერებში“ გამოთქმულ შეხედულებებს ამა თუ იმ, დღესდღეობითაც საჭირობოროტო საკითხზე. მნიშვნელოვანია ის ლიტერატურული პროცესი თუ პოლიტიკური სიტუაცია, როგორც ჩვენი ისტორიის უახლესი წარსულის ცოცხალი მონაკვეთი, რომელმაც ეს აზრები წარმოშვა. ჩვენს ამ მოკლე გამოხმაურებაში ყველა კონკრეტულ შემთხვევას, აზრის ყოველ გამოხატულებას და ნიუანსს, ვერ გავწვდებით – მხოლოდ რამდენიმე მომენტზე შევაჩერებთ ყურადღებას.

მრავალრიცხოვანი წერილებიდან გამოვყოფთ 1922 წელს დაწერილ ვრცელ ესეისტურ ნარკვევს სათაურით „გამორჩენილი და დავინწყებული (მწერალი მელანია ბადრიძე)“ (გვ. 218-247). იგი ორი თვალსაზრისით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. როგორც სათაური მოწმობს, ვახტანგ კოტეტიშვილი პირველი იყო, რომელმაც დავინწყებიდან ამოიყვანა სრულიად არაორდინალური პიროვნება, პირველი ქართველი ქალი, რომელმაც თავს იდგა ევროპული ყაიდის მწერლის მისია. ვახტანგ კოტეტიშვილის სამართლიანი შეხედულებით, ჩვენი მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი თითქმის terra incognita-ა, „რომელსაც თანამედროვე მწერალი გვერდს უქცევს, როგორც თითქოს არარსებულს [...]“. ჩვენ თვით ფაქტთა არსებობაც კი არ ვიცითო“, წერს იგი. ერთი ფაქტი ამ ხანიდან მან მელანია ბადრიძის ავტობიოგრაფიის სახით გამოავლინა. რითია საინტერესო ეს პერსონა, რომლის ავტობიოგრაფია და ერთადერთი მოთხრობა (ისიც დაუსრულებელი) მხოლოდ რუსულ ენაზეა შემორჩენილი? ინტერესი მის მიმართ, ვისაც ფსევდონიმად იმდროისთვის საკმაოდ დამაინტრიგებელი *будущая грузинская писательница* ჰქონდა არჩეული, ბუნებრივია, გასჩენოდა ლიტერატურის ისტორიკოსს, მაგრამ ვახტანგ კოტეტიშვილის დაინტერესება მისი პიროვნებით საკუთრივ მწერლობის, როგორც ასეთის, სფეროს სცილდება. მელანია ბადრიძე მისთვის მე-19 ს-ის პირველი ნახევრის, მივინწყებული პერიოდის, კონკრეტულად, ვორონცოვის ხანის ქართველობის ერთი ნაწილის „ფიქრთა მაჩვენებელია“. მით უფრო იზრდება მისდამი ინტერესი და ნდობა მისი ნაწერის გულწრფელობაში, რომ იგი სავესებით პრივატულ ხასიათს ატარებს და, ამავე დროს, ძალადაუტანებელი შემოქმედებაა, როგორც შეიძლება ავტობიოგრაფია იყოს. ყმაწვილქალობის ასაკში პეტერბურგში მოხვედრილი, შემდგომ თბილისში დაბრუნებული „მომავალი მწერალი ქალი“ აღფრთოვანებულია საქართველოს დედაქალაქის, როგორც თავად უწოდებს თბილისს, ფერისცვალებით. ეჭვი არ არის, რომ იგი ნანახის შთაბეჭდილების ქვეშ არის, რომ ეს აღწერილობა მისი წარმოსახვის ნაყოფი არ არის. დამწყები მწერალი ქალი, რუსულ აზნაურთა (მამაცაშვილთა)

შეამომაილო... რუსისს აკოლის ძიქმ იაზროლოო... არ მაოლისს თაისს რუსოლოოობას

რაც მას არ აბრკოლებს, რომ თავისი ქვეყნის წარსულის მოამაყე იყოს. „მიფხვდი, რომ მოვესწარ საქართველოს განათლების საუკუნეს“, წერს იგი და განაგრძობს: „როდესაც ამაში დავრწმუნდი, კვლავ გავცოცხლდი რალაც დიდებით, თითქოს ახალი წვიმა დამეპყურა, თითქოს გადამრეცხა ჩემს ძვლებიდან ძველი აზიური უანგი. მაშ, ამიერიდან ჩვენშიაც შეიძლება ქალმა იაროს თავისი მონოდების გზით“. თითქოს ამ ნამდვილად ეპოქალურ სიტყვებს ჩაღრმავებული კომენტარი არ ესაჭიროება, თავისთავად ცხადია, რომ მელანიას სახით საქმე ვვაქვს ემანსიპაციის გზაზე შემდგარ ქალთან. მისი ეს ცნობიერება ეხმიანება 50-იანი წლების კულტურულ ძვრებს და წამოწყებებს (ევროპული ყაიდის თეატრი, ჟურნალი, საჯარო ბიბლიოთეკა..). ბუნებრივია, რომ ამ ფერისცვალების მიმდებარე გვერდით უნდა არსებულიყო მასა, ვისთვის ეს სიახლენი (და მისი თანამდევნი რეალიები) ან სრულიად უცხო და უსარგებლოდ ჩანდა, ან ვისში, ობიექტური რომ ვიყოთ, უპერსპექტივო შეურევლობას და აგრესიას ბადებდა. ეს წინააღმდეგობა სიახლესა და ტრადიციას შორის იმდროინდელმა ლიტერატურამ კომედიურ უანრში გიორგი ერისთავის პიესების სახით ასახა, რამაც არცთუ ობიექტურად წარმოაჩინა სინამდვილე. იმდენად ძლიერი იყო მომდევნო თაობებში პირველი ქართული კომედიების მომნუსხველი ძალა, რომ ცივილიზაციის სიკეთეთა თუნდაც უშუალოდ ევროპის (რუსეთის გზაზე არას ვიტყვი) გზით შემოსვლა, სარკაზმისა და, უკეთეს შემთხვევაში, კომიზმის ობიექტი იყო. ამგვარ „ტრადიციულ“ აღქმას ისტორიული აზრიც ვერ ასცდა. შორს რომ არ წავიდეთ, თავად ვახტანგ კოტეტიშვილი, მელანია ბადრიძის, ამ არაორდინალური, მანამდე ჩვენს სინამდვილეში წარმოუდგენელი პიროვნების, აღმომჩენი სხვანაირად არა აფასებს „დამწყები მწერალი ქალის“ აღფრთოვანებას, თუ არა „როგორც იმ სულიერი გარდატეხის და გაბრუნების მაჩვენებლად, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყანა“ (გვ. 244). მეტიც: რასაც ასეთი აღფრთოვანებით და იმედით შესცქეროდნენ, მისი განჭვრეტით, მხოლოდ და მხოლოდ იყო „დაბალი საფეხური, ნივთიერი ქვეყანა, ხელშესახები სამყარო, რომლის გადაღმა ველარასა ჰხედავდნენ „ბედნიერების“ საკუთარი თვალით ბილვის მაძიებელნი“ (გვ. 245-6). და კიდევ: „ეს ვორონცოვის ხანის ქართველ ინტელიგენციის სულისკვეთებაა. არამც თუ იგი (მელანია ბადრიძე, ზ. კ.), ქართველ საზოგადოების მეთაურნი „ცისკრის“ გარშემო რომ შემოკრბენ, ამაზე მაღლა ვერ ასულან“ (გვ. 241). „დაბალი საფეხური“, „მაღლა ვერ ასულან“ – ნუთუ ამგვარ შეფასებას იმსახურებს მელანია ბადრიძე, რომელიც აღფრთოვანებულია იმით, რომ თბილისში „ყოველი ქუჩიდან ისმის ფორტეპიანოს ხმა“ – ევროპეიზმის ერთ-ერთი ხმიერი ნიშანი. სხვათა შორის, ჩვენი უფროსი თაობის თბილისელთა ნოსტალგიური მოგონება სწორედ ეს ფორტეპიანოს ჰანგებია, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს თბილისის ქუჩებში ღია ფანჯრებიდან მოუსმენია. განვაგრძობთ ციტაციას: „დღევანდელი თვალსაზრისით, რასაკვირველია, საცოდავ სანახაობას წარმოადგენს როგორც მელანია ბადრიძის მოტყუებული იმედიანობა, ასევე მისი დროის საზოგადოების ლაგამახსნილი სიხარული“ (გვ. 243). რა არის ეს „დღევანდელი თვალსაზრისი“, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს რეალურ სიხარულს იმ მოტივით, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდგომ რუსეთის პოლიტიკამ ბრჭყალები გამოაჩინა და ყოველი იმედი გააქარწყლა, ცნობილ რუსოფილს და იმპერატორის ერთგულს ტრაგიკულად დასრულებინა სიცოცხლე?

ისმის კითხვა, აქვს თუ არა ისტორიკოსს უფლებამოსილება, წარსული ისტორიის ფაქტებს თავისი ეპოქის („დღევანდელი თვალსაზრისით“), როგორც დღეს იტყვიან, გადმოსახედიდან აფასებდეს, კერძოდ, იმ ცოდნის, იმ ფაქტების, იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც მომდევნო პერიოდებმა შესძინეს ისტორიოგრაფიას? მომდევნო თაობებმა, ისტორიკოსები იქნებიან თუ რიგითი მოქალაქეები, წინამავალ თაობებზე უფრო მეტი იციან, კერძოდ, ისინი თვითმხილველნი და განმცდელნი არიან „მელანია ბადრიძის მოტყუებული იმედიანობისა“. ჩვენ ვიცით, რომ ვორონცოვის შემდგომმა მმართველობამ მისი კულტურული პოლიტიკის საწინააღმდეგო კურსი აიღო. წინა თაობებს, რომელთა იმედები არ გამართლდა, ვერ ვუსაყვედურებთ, რომ მათ შორის წინასწარმეტყველი არ აღმოჩნდა.

მეფის ნაცვალ ვორონცოვის ეპოქის და მისი პიროვნების მიმართ ჩვენს სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში დღემდე იჭვნეული, მეტიც, ნეგატიური დამოკიდებულებაა. არადა, ეს ხანმოკლე პერიოდი მნიშვნელოვანია თავისი არაორდინალურობით, ის განყენებულად დგას რუსეთის მმართველობის მთელი

პერიოდის განმავლობაში. მას არც წინამორბედი ჰყოლია (მისი წინამორბედი გოლოვინი იყო), არც განმგრძობი. ჩვენს ლიტერატურაში ვორონცოვის ხსენებისას, პირველ ყოვლისა, აღინიშნება, რომ ის იმპერატორის ერთგული მსახური იყო, ცდილობდა კავკასიის კოლონიზაციას იმპერიასთან მის სრულ შერწყმამდე, თუმცა გამოირჩეოდა ვარკვეული ლიბერალიზმით; ამის შემდეგ გვერდს ვერ აუვლიან და მოიხსენებენ ღვანლს, რაც მან საქართველოში კულტურის სფეროში გასწია (ქართული თეატრი, ქართულენოვანი ჟურნალი, საჯარო ბიბლიოთეკა...), და ასევე იან, რომ მისთვის ეს მხოლოდ იმპერიული მიზნის მისაღწევი საშუალება იყო. ვახტანგ კოტეტიშვილი გაშლილად არ მსჯელობს ვორონცოვის მმართველობის ხანაზე, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ იგი კვლავ თავისი დროის გადმოსახედიდან აფასებს ამ წარსულს. იმ ხანის სიკეთეთა მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება, ჩანს, ნასაზრდოებია რუსული ასწლოვანი მმართველობის საერთო ნეგატიური შეფასებიდან. ვორონცოვის შემდგომმა პერიოდმა ეჭვის ქვეშ დააყენა მისი გულწრფელობა და მიჩქმალა თუ მთლიანად არ გააქარწყლა მისი ღვანლი.

„ვორონცოვმა თავისი მოქნილი პოლიტიკით დააშოშმინა ქართველების აღმფოთებელი სინდისი, „კავკასიის მრავალ ტომთა შედუღება რუსის ხალხთან იყო ვორონცოვის მთავარი მიზანი, რომლისკენაც იგი დაუღალავად მიისწრაფოდა (Юбилейный сборник к столетию присоединения Грузии к России. გვ. 32). მაგრამ ამ წინამორბედთა მიერ ნაანდერძევს იგი ჰვარავდა (sic!) „მხარეში განათლების გავრცელებით, ამიერკავკასიის სანარმოო ძალთა განვითარებით, მის საზოგადოებრივ ცხოვრების მოწყობით და ტფილისის ევროპულ ქალაქის დონემდე აყვანით“ (იქვე). ეს იყო მიზეზი, რომ იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას მოუღობო გული, გადაშენების პერსპექტივა გაუქარვა და ათქმევინა ხოტბა ამ დაუმსახურებელ (sic!) სახელმწიფო მოღვანის მიმართ“ (220-1).

რა გამოდის? ვერაგული იმპერიული ზრახვები ვორონცოვის მიერ შენიღბულია ქართველობაში განათლების გავრცელებით, ქართულენოვანი ჟურნალის, ქართული თეატრის, საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებით?... როგორ უნდა მოეხერხებინა „ტომთა შედუღება რუს ხალხთან“, თუ ქართველ ხალხს თავისი ტრადიციული კულტურისკენ მიაბრუნებდა, ენის და ლიტერატურის აღმავლობას ხელს შეუწყობდა? ჩენთვის უცნობია, მოუხდა თუ არა მეფის ნაცვალს ამ პოლიტიკის გამართლება იმპერიის წინაშე (საეჭვოა, ასეთი მომენტი დამდგარიყოს), ყოველ შემთხვევაში, მისთვის საყვედური მის სიცოცხლეში არავის უთქვამს. ნიშანდობლივია ყოფილ მთავარმართებელ (1817-1827 წლებში) ალექსეი ერმოლოვისადმი ვორონცოვის წერილის ეს ადგილი, სადაც ის თავის მოღვანეობას მეფის ნაცვლის ასპარეზზე მორალური კუთხით აფასებს:

Дела гражданские, смею сказать, подвинулись вперед. Посылаю тебе список вещам, привезенных со всех сторон в Тифлис на выставку. Приятно видеть живое усердие и порыв у всех жителей Закавказских ко всякому роду промышленности. Посылаю тебе либретто и афишку второй пьесы, сочинения Георгия Эристова; все это шло превосходно. Первое русское театральное представление было в январе 1750 г., и играли кадеты; первое же грузинское ровно 100 лет позже, но с тою разницею, что русский театр и 50 лет после своего открытия был весьма плох, и только недавно сделал быстрые шаги, особливо по части актеров и актрис; грузинский же с самого начала не только хорош, но превосходит, и нельзя не удивляться чрезвычайной способности первых лиц из лучших здешних фамилий понимать и играть все роли; это дело пойдет вперед и в нравственном отношении весьма будет полезно (Тифлис, 9 мая 1850 г.).

მხოლოდ რეაქციის წლებში ცნობილმა მ. კატკოვმა (დღეა თულაშვილი ჰყავდა, ცოლი შალიკაშვილი) იმპერიის პოზიციებიდან ნეგატიურად შეაფასა მისი საქართველოში მოღვანეობა. „მიხაილ კატკოვი ვორონცოვს უწოდებდა ლიბერალიზმის სახელით რუსეთის ნაციონალური ინტერესების უგულვებელმყოფელს, არარუსული თვითშეგნებისა კავკასიაში და სეპარატიზმის წამახალისებელ მმართველს და პირდაპირ სდებდა ბრალს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში; ამასთანავე, ამტკიცებდა: სწორედ ვორონცოვის პოლიტიკამ აქცია კავკასიაში რუსი დამცირებულ და შეურაცხყოფილ, არსებითად მეორეხარისხოვან ადამიანად“ (თამაზ ჯოლოგუა, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, XIX“, 2013, გვ. 109). რა თქმა უნდა,

კატკოვის ეს დასკვნები გადაჭარბებულია: ათ წელიწადში ვორონცოვი რუსების დისკრედიტაციას ვერ შეძლებდა (არც უცდია), არც სეპარატიზმისთვის იღვწოდა და არც რუსეთის ეროვნულ ინტერესებს უგულვებელყოფდა, მაგრამ კატკოვის თავში ქართველობისადმი მისი გულწრფელი სიყვარული, ქართველობის ღირსების დაცვა და ზრუნვა მის კულტურაზე რუსების ინტერესების ღალატად მოიხარმა.

ვიყოთ ობიექტურნი და ვიკითხოთ, რა პრეტენზია უნდა გვქონდეს ვორონცოვისა და მისი პოლიტიკის მიმართ? ბოლოს და ბოლოს, საყვედური ხომ არ ეთქმის მას იმისთვის, რომ ზემოთ ჩამოთვლილ კულტურულ ღონისძიებათა დასავგირგვინებლად თავისი მოღვაწეობის დასასრულს რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ შეთქმულების ახალი ვერსია არ მოამზადა?

მეორე საკითხი საქართველოს კულტურის ტიპის და, აქედან გამომდინარე, ორიენტაციის საკითხია, რომელიც რამდენიმე მომცრო სტატიაშია გადმოცემული: „უკან, აზიისკენ“, „ქართული ხელოვნების გამარჯვება“, „Coup d'etat“.

ამკარაა ევროპეულობით გაღიზიანება, რაც გარკვეული წრეების განწყობილებას უნდა გამოხატავდეს. პირველი წერილის შოტოა: „ყველა ევროპეულობის ციებ-ცხელებამ შეიპყრო“, „ევროპამ შეგვშალა და ალბათ ნაგვშლის კიდევ“.

როდესაც ავტორი „ვილაც“ ფრაკიანზე ლაპარაკობს, რომელიც შეიჭრა „ქართლის ხელოვნების დაცარიელებულ დარბაზში და კედლებიდან ხალიჩები ჩამოხსნა“, ანუ „დაეპატრონა ჩვენს ხელოვნებას“, აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ქართული დარბაზი თავისი ხალიჩებით აზიაა, ქართული ხელოვნება კი – აზიური... მაგრამ ისმის კითხვა, ეს რომელი აზიაა, საითკენაც უნდა დაბრუნდეს ქართული კულტურა? აზია განუსაზღვრელი ცნებაა, აზია არ არის ერთგვაროვანი. არის აზია მუსლიმური (ირანულ-თურქული), ჩალმიანი, „ფრაკიანის“ საპირისპიროდ, და არის აზია ინდური თავისი რელიგიით, სულიერებით და ა. შ. ჩვენ სად ვართ? ან ერთგან ან მეორეგან, თუ ორივეგან? აი, სად ვართ თუ სად ვიყავით, ან სად უნდა ვიყოთ:

„ეს არის შოთას სასახლე, რუმის ლურჯი ბალი და გაფიზის მინარეთი. აქ ისმის ჩვენი ძველი მონასტრების ზარის რეკა, დერვიშების მონოტონური გალობა და მუეძინების ყივილი მეჩეთის სიმაღლიდან.“

აქ არის ქვეყანა მოგვების, მისნებისა, ბრამანებისა, მუტიებისა და განა ცოტა რამის მოქმეღნი არიან არაბეთის დახურულ გაღერებით შემოვლელი ჰარამხანები, მარმარილოს შადრევნები და თვით ცხელი უდაბნოებიც კი?“ (გვ. 163).

ძნელი დასაჯერებელია, რომ 1920 წელს, როცა ახალგაზრდა, მეტიც, ჩვილი რესპუბლიკის პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაცია, მის ჩანასახში, დასავლეთისკენ იყო მიმართული, ქართველი მწერალი, რომლის ევროპულ შესამოსელს (თუ ფრაკს არა) ასევე ევროპული ბაფთა ამშვენებდა, გულწრფელად ფიქრობდა, რომ ქართველობის სულიერ-კულტურული სამშობლო ამგვარად წარმოსახულ აზიაში იყო საძებარი?

ჩვენი ავტორი წუხს, რომ

„ძველი მტკიცე გზები დაკარგეთ“,

„ოდნავა გვესმის ალექსანდრე ჭაჭავაძის თარის კვნესა“,

„ჩვენი სულის უგზოობის დროს ეს „ვილაც“ ფრაკით მოგვევლინა და იკისრა გზის გაკვლევა. მზეს ზურგი შეგვაქცევინა“,

„ორბელიანმა მკვახედ შეუძახა, მაგრამ „ვილაცამ“ ფრაკში აჯობა“,

„ყველა ევროპეულობის ციებ-ცხელებამ შეიპყრო“,

„ევროპამ შეგვშალა და ალბათ ნაგვშლის კიდევ, თუ ასე გაგრძელდა“...

და, საბოლოოდ, დასკვნა ასეთია:

„ის „ვილაცა“ უნდა წავიდეს, თან უნდა წაიღოს ის ბინოკლიც, რომელიც ევროპას

დიდად გვაჩვენებდა და აზიას პატარად“,

„აზიაში დაგვიღამდა და აზიაშივე უნდა ველოდეთ ჩვენი ხელოვნების დილას“,

„საქართველოც აზიაში თვლემს“.

თვლემს... ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყოველი ეს, რაც გაცხადებულია წერილში „უკან, აზიისკენ“, თვლემაში, ძილშია ნახილვები. რეალობაში არც ქართული ყოფა, არც ხელოვნება თუ პოეზია ამგვარი არ ყოფილა. რომელია ეს „ძველი მტკიცე გზები“, რომელიც თითქოს დაგვარგეთ? ან „თარის კუნესა“ როდის ყოფილა ქართული კულტურის განმსაზღვრელი ნიშანი? შესაძლოა, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ტატოს, ყოფაში ატკობდა თარის ხმა, მაგრამ მისი პოეზია სხვა ხმას გამოსცემს; თუმც მას „ფრაკი“ არ ემოსა, მაგრამ მისი პოეზია ჭეშმარიტად ევროპული იყო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე, სამეფოს დამხობის „მეორე დღიდანვე“ ევროპა საქართველოში გზას იკაფავდა და, მთელი საუკუნის მანძილზე ძალა არ ჩანს, თუ ვინმე შეგნებულად წინაღობაში ამ გზას.

თუ ჩაუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ეს აზრი ევროპელობაზე რუსული გავლენით არის შექმნილი, ყოველ შემთხვევაში, რიტორიკა საერთოა. ჩვენი ავტორი კი წერს, რომ „ევროპის კერპთა წინაშე პითიასებური სლოკინიც რუსული სკოლის გავლენა“ (გვ. 170), მაგრამ თვალშისაცემია ყოველი ევროპულის გამოხატვის რუსული წარმოშობაც. სტატიის „ქართულ ხელოვნების გამარჯვება“ (1921 წ.) კვიტხულობთ:

„ხომიაკოვი, სლავიანოფილთა ლიდერი, ამის გამო იყო, რომ ჯვარს ეკროდა, რუსეთს რუსეთისკენ აბრუნებდა, რომ ესნა რუსეთი იმ სირცხვილისაგან, რომელშიც ჩავარდა დასავლეთით გატაცებული საზოგადოების მათხოვარი აქტიურობით. ერთ ფრანგს ეთქვა: „საოცარი ხალხი ხართ რუსები, თქვენ ძველი, ისტორიულ მოღვმის შთამომავალნი ხართ, და უთვისტომო, ნაპოვარ ერის როლს თამაშობთ თქვენივე სურვილით“. სწორი დახასიათებაა და ასევე შეეძლო იმ ფრანგს მიემართა ქართველ საზოგადოების უმრავლესობისთვისაც, სხვათა გაზვიადების და თავის დამცირებაში რომ ეძებდნენ კულტურის მწვერვალზე ასავალ გზას“ (გვ. 171).

ამგვარად, ქართული კულტურა ორი საშიშროების წინაშე იდგა: ერთი მხრივ რუსული, მეორე მხრივ, ევროპული გავლენის წინაშე. პირველ შემთხვევაში მივიღეთ „გადმოქართულებული რუსული ლიტერატურა“ (რამიც არის გარკვეული სიმართლე); მეორე შემთხვევაში, რუსულივე გზით ევროპული კერპების წინაშე „სლოკინი“. როგორც რუსეთისთვის არის უცხო ევროპული კულტურა, ასევე უცხოა იგი ქართული ტრადიციული კულტურისთვის. მაგრამ ქართველის პოზიცია, ჩვენი ავტორის მიერ გაცხადებული, თუ კატეგორიულია: ქართული კულტურის ფესვს იგი ერთსახად აზიაში ხედავს (კითხვა კი ისმის, რომელია ეს აზია), რუსი იდეოლოგის განჭვრეტით, რუსული კულტურა ძირითადად აზიურია, მაგრამ ევროპაშიც უდგას ფეხი. აი, რას წერს ფეოდორ დოსტოევსკი:

„... Россия не в одной только в Европе, но и в Азии; [...] русский не только европеец, но и азиат. Мало того: в Азии, может быть, еще больше надежд, чем в Европе. Мало того: в грядущих судьбах наших, может быть, Азия-то и есть наш главный исход! [...]. Да, если есть один из важнейших корней, который надо бы у нас оздоровить, так это именно взгляд наш на Азию. Надо прогнать лакейскую боязнь, что нас назовут в Европе азиатскими варварами и скажут про нас, что мы азиаты еще более чем европейцы. Этот стыд, что нас Европа сочтет азиатами, преследует нас уж чуть не два века. [...]. Этот ошибочный стыд наш, этот ошибочный наш взгляд на себя единственно как только на европейцев, а не азиатов (каковыми мы никогда не переставали пребывать), — этот стыд и этот ошибочный взгляд дорого, очень дорого стоило нам в эти два века, и мы заплатились за него и утратою духовной самостоятельности нашей...» («Дневник писателя», 1881, гл. вторая, III).

ჩვენი ავტორის გულისწილიც ეს არის. ქართველობამ დაკარგა გზა აზიისკენ, უცხო ევროპისკენ გადაიხარა, ცდილობს ევროპელად თავის მოჩვენებას, თავის თავსაც ატყუებს და ევროპასაც. რუსი მწერალი გმობს რუსეთის ევროპულ პოლიტიკას, რომლის დასაბამი პეტრეს ნებამია, რომელმაც ზურგი შეაქცია აზიას. რას წარმოადგენს აზია რუსისთვის და რას წარმოადგენს ქართველი მწერლისთვის? არის იგი რაიმე

კონკრეტული რეალობის შემცველი თუ მხოლოდ ეროვნული ძირების ან თავდაპირველი წიაღის მეტაფორაა მხოლოდ? რუსული იდეოლოგიით, რასაც ის გულისხმობს ამ ცნებაში, აზია მხოლოდ აპოთატიკურად შეიძლება განისაზღვროს, როგორც არა-ევროპა, ევროპას დაპირისპირებული უსაზღვრო-უნაპირო სივრცე, ხოლო რა არის მისი კონკრეტული შინაარსი, რა კატეგორიებით განისაზღვრება იგი, გამოუცნობია თავად რუსი იდეოლოგებისთვისაც. ისინი ამჯობინებენ რუსეთი განსაზღვრონ როგორც დამოუკიდებელი კონტინენტი – არც აზია, არც ევროპა. ეს ბუნდოვანება გაუგებრობებს ბადებს. ვლ. სოლოვიოვის პროფეტული სტრიქონი «Панмонголизм! хоть слово дико, но мне ласкает слух оно», რომელშიც ბარბაროსული მონღოლური სტიქია ემპირიული ქრისტიანობის გადასახალისებლად არის მონოღებული, ალექსანდრ ბლოკმა ლექსში „სკვითები“, რომელსაც ზემოთდამონშებული სტრიქონი წაუძღვანა ეპიგრაფად, რუსობის იდენტობის გამოხატულებად მიიჩნია: Да, скифы – мы! Да, азиаты – мы, с раскосыми и жадными очами! ეს რაღაც გარკვეულობა მაინც არის – ისტორიაში არებობდნენ მონღოლებიც, სკვითებიც – თუმცა სკვითების აღრევა მონღოლებში და მათი დაკავშირება რუსობასთან ეთნიკური ნოინენსია. ხოლო რაც შეეხება ჩვენი ავტორის აზიას, მას აქვს კონკრეტულობის პრეტენზია, მაგრამ წარმოადგენს უნესრიგო, ერთმანეთთან შეუთავსებელი რეალიების კონგლომერატს, რასაც არავითარი კავშირი ქართულ კულტურასთან არა აქვს. რა არის საერთო „გაფიზის მინარეთას“ და „ჩვენი ძველი მონასტრების ზარის რეკას“ შორის, „შოთას სასახლესა“ და „მუეძინების ყვილს“ შორის და სხვა? ეს არის დეკადენტურ ცნობიერებაში წარმოსახული „კულტურული“ ლანდშაფტი, სადაც ცისფერყანწლეები თავიანთი პოეზიის სამშობლოს ეძებდნენ. პოეზიაში ასატანია ეს დეკადანსური ესთეტიზმი, მაგრამ რა კავშირია აქვს მას ქართული კულტურის ორიენტაციასთან და, ზოგადად, იდენტობასთან?

გარკვეული აზრით სწორი, მაგრამ კატეგორიულად გამოთქმული მოსაზრება, რომ „რუსეთმა საქართველოს კულტურა შეათერხა და დაასწეულა“ (გვ. 170), არგუმენტებით განმტკიცებას მოითხოვდა. „შეათერხას“ კიდევ არა უშავს, მაგრამ „დაასწეულა“ გადამეტებულია. თუმცა „შეათერხებას“ არ არის მაინცდამაინც ადექვატური შეფასება იმისა, რაც მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა თუ ხდებოდა. ამ დროს მთელი კულტურული მემკვიდრეობა, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, მეფობასთან ერთად ჩაბარდა წარსულს. ფეხს ისე იდგამდა ახალი ლიტერატურა, რომ ბევრ რასმე წარსული შემოქმედებიდან ახლის შემოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია. მაგალითად, რად ღირს იმის აღნიშვნა და გააზრება, რომ „დავითიანი“ და, საერთოდ, გურამიშვილის ფენომენი ბარათაშვილისთვის უცნობი იყო. თუ ეს მომენტი ტრადიციის შეფერხება იყო, აქ რუსული ფაქტორი აქ არათუ არაა შუაშია. ქართული კულტურა ადგა თავის იმანენტურ გზებს და, თუ, როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი წერს, ილია ჭავჭავაძემ „რუსობის“ სტიქიურ შემოწოლას ვერ გაუძლო“, მაინც ვერ ვიტყვით, რომ მის „შემოქმედებაში ნაკლებად ჩანს ქართული კვალი“ (გვ. 172). მართალია, არის რუსული გავლენა, მაგრამ ეს „გავლენა“ მან კვლავ და კვლავ ქართულ საქმეს ამსახურა. თუ ილიასთან არ ჩანს ქართული კვალი, მას, ვისთან ჩანს იგი? ჩვენს ავტორს ამ კვალის არსებობისა არ წამს: ილიადან „რაც აქეთ მივდივართ, უფრო მეტად ვითვლობით რუსული გავლენის ლაფში“ (იქვე). როგორ მოხდა, რომ ქართული სინამდვილისთვის რუსული გავლენა ლაფია, ევროპისთვის კი – ცხოველმყოფელი ფაქტორი? ან იქნებ, შესაძლოა, ეს იყოს ახლოს ჭეშმარიტებასთან, რომ ჩვენზე რაზნოჩინული, „დემოკრატიული“, რუსეთი ახდენდა გავლენას, ევროპაზე კი – სხვა, ელიტარული რუსეთის ტალღა, რისთვისაც საქართველო არ იყო მზად? ალბათ ამ თვალსაზრისის შუქზე უნდა გავიგოთ ეს სიტყვები: „დიღა ვაჟა, მაგრამ რა უნდოდა მასთან მეცხრამეტე საუკუნეს, როცა თვით არ იყო მასთან“ (გვ. 174).

ნამდვილად, ვაჟა-ფშაველა არ თავსდება მეცხრამეტე საუკუნეში, მაგრამ სად, რომელ კულტურაში ვჭვრეტთ მას – აზიურში თუ დასავლურში? როცა არსებობს ვაჟა-ფშაველას ფენომენი, განა შესაძლებელია ისევე ლაპარაკი ქართული კულტურის აზიურობის შესახებ? კეთილი. მოვიდა დრო და „რუსეთით გაბრუება გაჰქრა“, მაგრამ ვახტანგ კოტეტიშვილის განჭვრეტით,

„გაევროპიელების სურვილი ისეთ პატოლოგიურ ხასიათამდეა მისული, რომ მეტად ძნელია მისი ადვილად მოცილება. მისი ლიკვიდაცია მხოლოდ თაობათა

ცვლაში ძობდება. დიდხახს ვერ გასტახს ევროპიულ ძეზარხოძება“ (გვ. 173).
მისი რწმენით, ეს „ზარხოშიც“ გაივლის და ქართული შემოქმედება თავის სანყისს
დაუბრუნდება აზიაში, სადაც „შოთა და ბესიკი [აქ] არიან“.
P.S. კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დავსვათ კითხვა: სად არის ჩვენი აზია,
საქართველოს აზია?

2017